N 6
18/06/2019

6-07-4-201906181721

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №6

ქ. ლანჩხუთი 14. 06. 2019 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს სივრცითტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები"-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები"-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი თენგიზ ხელაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ აღნიშნა, რომ ბიუროს დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა ერთი საკითხი და მოუწოდა ბიუროს წევრებს დღის წესრიგის პროექტს დამატებოდა ეს საკითხი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხდომის თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ვერიკო კვირკველია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნების წესის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე განცხადების ნიმუშის დამტკიცების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ვერიკო კვირკველია/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

4. პეტიციის „გურული მხედრების სახელობის მოედანი ლანჩხუთში“ შესწავლის მიზნით საკრებულოს შესაბამის კომისიაში დაგზავნის შესახებ.

/მომხსენებელი ვერიკო კვირკველია/

5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი გია ნაჭყებია/

6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი თენგიზ ხელაძე/

7. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანები-სთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გია ნაჭყებია/

8. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2019 წლის 26 ივნისი, 11:00 საათი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვირკველიამ. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად. დადგენილების პროექტს განიხილავს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია. დაინტერესების შემთხვევაში საკრებულოს ფრაქციები და კომისიები წარმოადგენენ წინადადებებს ან შენიშვნებს, ხოლო მიმდინარე წლის 26 ივნისის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცდება დადგენილების შესწორებული ვარიანტი.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2) დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, „ძალა ერთობაშია“.

3) დადგენილების პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია.

სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნების წესის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე განცხადების ნიმუშის დამტკიცების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვირკველიამ. მან განმარტა, რომ ზემოაღნიშნულ დადგენილებაში შედის ტექნიკური ხასიათის ცვლილებები.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოქვეყნების წესის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე განცხადების ნიმუშის დამტკიცების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2) დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და საკრებულოს ფრაქციებს–„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, ,,ძალა ერთობაშია“.

3) დადგენილების პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის საკრებულოს 2019 წლის 26 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია.

სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მისი განმარტებით „ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N554 განკარგულებაში შევიდა ცვლილება მიმდინარე წლის 24 მაისს N1231 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 185809 ლარი: აქედან აკეთის ამბულატორიის რეაბილიტაცია 20529 ლარი, აცანის ამბულატორიის რეაბილიტაცია 20529 ლარი, შუხუთის ამბულატორიის რეაბილიტაცია 21853 ლარი, ნიგოითის ამბულატორიის რეაბილიტაცია 28041 ლარი, სუფსის საექიმო ამბულატორიის მშენებლობის ტერიტორიის მომზადება 11430 ლარი, სუფსის საექიმო ამბულატორიის მშენებლობა 81828 ლარი. აღნიშნული ღონისძიებების ბიუჯეტში ასახვის მიზნით უნდა დაიწყოს ბიუჯეტში ცვლილებაზე ადმინისტრაციული წარმოება.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.

2) დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას და საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, ,,ძალა ერთობაშია“.

3) დადგენილების პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 აპრილის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: პეტიციის „გურული მხედრების სახელობის მოედანი ლანჩხუთში“ შესწავლის მიზნით საკრებულოს შესაბამის კომისიაში დაგზავნის შესახებ საკითხი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვირკველიამ. მან განმარტა, რომ საკითხი შემოსულია ელექტრონული პეტიციის სახით. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია განიხილავს ამ პეტიციას და მიიღებს გადაწყვეტილებას მიზანშეწონილად ცნობის შესახებ, შემდეგ მომზადდება პროექტი და საკრებულო სრული შემადგენლობით იმსჯელებს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

პეტიცია „გურული მხედრების სახელობის მოედანი ლანჩხუთში“ შესწავლის მიზნით გადაეგზავნოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებიამ. მისი განმარტებით 2017 წლის 25 დეკემბრის N47 დადგენილების საფუძველზე დამტკიცდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის დებულება, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ სამსახურის შემადგენლობაში შედის: ა) სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი); ბ) ქონების მართვის განყოფილების უფროსი (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი); გ) სოფლის მეურნეობის განვითარებისა და გარემოს დაცვის განყოფილების უფროსი (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი); დ) ეკონომიკისა და ტურიზმის განყოფილების უფროსი (მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი); ე) სამსახურის საჯარო მოსამსახურეები წარმოგიდგენთ აღნიშნული სამსახურის მიერ 2018 წელს განხორციელებულ საქმიანობის ანგარიშს მასში შემავალი განყოფილებების მიხედვით:

ქონების მართვის განყოფილების მიერ სხვადასხვა საკითხზე მომზადებული იქნა: 24 მოხსენებითი ბარათი.

სსიპ ქონების ეროვნული სააგენტოდან შემოვიდა 94 წერილი რომელზედაც პასუხი გაეცა 94 წერილს. გუბერნიიდან შემოსულია 30 წერილი რომელზედაც პასუხი გაეცა 30 წერილს. სხვადასხვა ორგანიზაციებიდან და მოსახლეობიდან შემოვიდა 75 წერილი რომელზედაც პასუხი გაეცა 75 წერილს. ქონების მართვის განყოფილების მიერ მომზადებული იქნა დოკუმენტაცია სახელმწიფო ქონების მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოსაცემად რომლის შედეგადაც საკუთრებაში გადმოგვეცა 3(სამი) უძრავი ქონება. აღრიცხული იქნა და გადაეცა საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურს ბალანსზე ასაყვანად ინფრასტრუქტურული სამუშაოების შედეგად შექმნილი ქონება. მომზადებული იქნა დოკუმენტაცია და გაფორმდა 13(ცამეტი) უზუფრუქტის ხელშეკრულება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონებაზე და 1(ერთი) იჯარა(680 ლარი) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებას მიკუთვნებულ გარე განათების ბოძებზე წერტილოვანი მდებარეობის სარგებლობაზე, 1(ერთი) მართვის უფლებით გადაცემა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფეხბურთო კლუბ ,,ლანჩხუთის გურია“-ს (პირობიანი აუქციონის ფორმით, 34900 ლარი), გაიცა 4(ოთხი) საკუთრების მოწმობა(ბინა). ინტესიურ რეჟიმში ხდებოდა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან და სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის ადმინისტრაციიდან შემოსული კორესპოდენციების მიღება(ჯამში 118), დამუშავება და პასუხის გაცემა. ყოველდღიურ რეჟიმში ხდებოდა სხვადასხვა სამინისტროებიდან, ორგანიზაციებიდან და მოსახლეობიდან მიღებული განცხადებებისა და წერილების განხილვა, საკითხების შესაბამისად წერილების ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან გადაგზავნა და მათ მიერ მომზადებული მოხსენებითი ბარათებისა და სამსახურის მიერ დამუშავებული ინფორმაციების შესაბამისად შემოსულ წერილებზე პასუხის გაცემა (ჯამში გადაგზავნილია 680 წერლი). ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისათვის მომზადდა საუქციონო მასალები. გამოცხადებული აუქციონების შედეგად გასხვისდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონება: 1) ქ.ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ.N 126-ში მდებარე ყოფილი სასტუმროს პირველ სართულზე მდებარე N12 ოთახი(ს/კ 27.06.51.005.01.515), თანხით 25876,2 ლარის ოდენობით. 2) ქ.ლანჩხუთი, თავისუფლების ქ.N 4/ გ-ში მდებარე 90 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი(ს/კ 27.06.56.071), თანხით 10350 ლარის ოდენობით. 3) სოფ.გვიმბალაურში მდებარე N3 შენობა-ნაგებობა(დემონტაჟი, მიწის გარეშე , ს/კ 27.08.47..030), თანხით 7572 ლარის ოდენობით. 4) ქ.ლანჩხუთი, თავისუფლების ქ.N 4/ გ-ში მდებარე 159 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი(ს/კ 27.06.56.070), თანხით 3211,8 ლარის ოდენობით. 5) სოფ.შუხუთში მდებარე შენობა-ნაგებობა(დემონტაჟი, მიწის გარეშე , ს/კ 27.05.46.024), თანხით 677,25 ლარის ოდენობით. 6) სოფ.ხაჯალიაში მდებარე შენობა-ნაგებობა(დემონტაჟი, მიწის გარეშე , ს/კ 27.14.50.005), თანხით 3050 ლარის ოდენობით.

7) ავტომობილი VAZ 21214, სახელმწიფო ნომრით AIA-908, თანხით 3450 ლარის ოდენობით. 8) ავტომობილი VAZ 21213, სახელმწიფო ნომრით EM 770 ME, თანხით 1000,5 ლარის ოდენობით. 9) ავტომობილი BMV 528 I, სახელმწიფო ნომრით OQO-722, თანხით 1212 ლარის ოდენობით. 10) ავტომობილი MERCEDES BENZ 313 CDI, სახელმწიფო ნომრით MFC-557, თანხით 4980 ლარის ოდენობით. 11) ავტომობილი MITSUBISHI MONTERO , სახელმწიფო ნომრით OBO-759, თანხით 5476,8 ლარის ოდენობით. 12) ავტომობილი TOYOTA LAND CRUISER PRADO 3.0 , სახელმწიფო ნომრით DEK-262, თანხით 6009.6 ლარის ოდენობით. 13) ავტომობილი OPEL OMEGA 2.0 , სახელმწიფო ნომრით MQM-005, თანხით 355 ლარის ოდენობით.

რომელთა გასხვისებით მიღებულმა შემოსავალმა ჯამურად შეადგინა 62871, 65 ლარი. მომზდებული იქნა დოკუმენტაცია და მოწვეული იქნა აუდიტორი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარკვეული მოძრავი და უძრავი ქონების შესაფასებლად რომელთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 18(თვრამეტი) ერთეული. მომზდებული იქნა დოკუმენტაცია და მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ დარეგისტრირდა 13(ცამეტი) ერთეული უძრავი ქონება და კორექტირება გაუკეთდა ლანჩხუთის მუნიუციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 14(თოთხმეტ) უძრავ ქონებას(სასაფლაო) . მომზდებული იქნა დოკუმენტაცია და მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე სსიპ ქონების ეროვნული სააგენტოდან გადმოგვეცა 7(შვიდი) უძრავი ქონება.

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობს ,,სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ქმედებების შედეგად, კერძოდ, მიწის მესაკუთრეთა ნაკვეთებზე, მათი შემდგომი დარეგისტრირების მიზნით, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების მიერ შევსებული ,ადგილზე დათვალიერების ოქმების გადაგზვანა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში რომელთა საერთო რაოდენობა შეადგენს 4545 ოქმს.

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიუროს წევრების მიერ ცნობად იქნა მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში სხდომას გააცნო მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა თენგიზ ხელაძემ. მან განმარტა, რომ მერიის ზედამხედველობის სამსახურმა განახორციელა ზედამხედველობა და კონტროლი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე ყველა სახის არქიტექტურულ-საამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოებზე, დადგენილი ორგანიზაციულ სამართლებრივი წესრიგის დაცვის მიმართებით. ამ მიმართებით დაწერილი იქნა 3 ჯარიმა (3 ჯარიმის საერთო ღირებულება 200 ლარის,). ასევე სამსახურის მიერ ექსპლუატაციაში მიღებული იქნა 10 ობიექტი, სამსახურის მიერ განხორციელდა ზედამხედველობა და მონიტორინგი 2018 წლის ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით შესრულებულ ობიექტებზე, შესწავლილი იქნა წარმოქმნილი პრობლემები და დაევალა შემსრულებლებს მათი გამოსწორება. სამსახურის მიერ გარემოს ეროვნული სააგენტოდან მოწოდებული კოორდინატების მიხედვით ადგილზე შესწავლილი იქნა ქვიშა-ღორღის, ტუფობრექჩიების და ცელოითის მოპოვების

ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობა, ნებისმიერი დასკვნის შემთხვევაში მაქსიმალურად გათვალისწინებული იქნა მოსახლეობის ინტერესები.

ხორციელდება სისტემატური კონტროლი პოლიციის თანამშრომლებთან ერთად ქალაქში გარე ვაჭრობის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების დაცვა შესრულებაზე. ასევე ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები აქტიურად ჩართული იყვნენ 2018 წლის 30 ნოემბრის სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისათვის სახურავის საჭირო საამშენებლო მასალების განაწილებაში.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები"-ს თავმჯდომარე **სპარტაკ კვაჭაძე** დაინტერესდა როდის იგეგმება ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სასმელი წყლის მილების რეაბილიტაცია.

მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა **თენგიზ ხელაძემ** განმარტა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით შემსრულებელთან გაგზავნილია წერილი და ელოდებიან შესაბამის რეაგირებას.

საკრებულოს სივრცითტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი გვარჯალაძე** უკმაყოფილება გამოთქვა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ქალაქის ტერიტორიაზე გაკეთებული სანიაღვრე არხები და ცხაურები, მიუხედავად ექსპლოატაციის ვადისა, გამოსულია მწყობრიდან. განსაკუთრებით დაზიანებულია რკინიგზის სადგურთან მისასვლელ გზაზე გაკეთებული ცხაური.

მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა **თენგიზ ხელაძემ** განმარტა, რომ აღნიშნული სამსახური უახლოეს დღეებში გეგმავს ქალაქის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით შესრულებული ობიექტების დათვალიერებას და შენიშვნები წერილობითი სახით გადაეცემა შემსრულებლებს.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **ვერიკო კვირკველიამ** აღნიშნა, რომ მერიის ზედამხედველობის სამსახურის აქტიურად მუშაობის მიუხედავად ქალაქის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის საკითხი კვლავ მოუწესრიგებელია.

მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა **თენგიზ ხელაძემ** განმარტა, რომ მათ ჩაატარეს მთელი რიგი ღონისძიებები, რათა აღკვეთილიყო გარე ვაჭრობა, გააფრთხილეს გარე მოვაჭრეები შესაძლო შედეგებზე, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მათ ისევ იგივე ადგილზე გამართეს სავაჭრო დახლები. ზედამხედველობის სამსახური მხოლოდ გაფრთხილებით შემოიფარგლება და რეგულარულად ყოველდღიურ რეჟიმში ათვალიერებს აღნიშნულ ტერიტორიებს.

სხდომის თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** მადლობა გადაუხადა მერიის ზედამხედველობის სამსახურს 2018 წელს გაწეული სამუშაოებისათვის და გამოთქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული სამსახურის თანამშრომლები იმსახურებენ წახალისებას.

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიუროს წევრების მიერ ცნობად იქნა მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანები-სთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებიამ. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, მიმდინარე წლის 22 აპრილს მომართა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების" (ს/კ 433649411) დირექტორმა ლია ურუშაძემ N31 განცხადებით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების-(ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქ.N31-ში მდებარე 434კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ არსებული 300,3 კვ.მ. მარიკა ორაგველიძის სახელობის სამუსიკო სკოლის შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.06.52.010)) სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე. ზემოაღნიშნული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანებისათვის" არის მიზანშეწონილი, რადგან ის შეძლებს მისთვის წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების სრულფასოვნად განხორციელებას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 122-ე მუხლის მე4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება პირდაპირი განკარგვის წესით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის განმარტებით პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანები-სთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას და საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება –

დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება - კონსერვატორები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ქართული ოცნება - მწვანეები“, ,,ძალა ერთობაშია“.

3) განკარგულების პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია.

სხდომის თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 9 ბიუროს წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა საკითხები:

სხდომის თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ბიუროს წევრებს გააცნო წერილი, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის რვაკაციანი ჯგუფი მოითხოვს ქალაქის ცენტრში არსებული დღემდე უსახელო სკვერისთვის საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელის მინიჭებას და 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა და ამ აქციებში მონაწილეთა პატივსაცემად ბაღში მოეწყოს ტიტას ფორმის 21 დეკორატიული ღამის ლამპიონი.

აღნიშნული წერილის თაობაზე ბიუროს წევრების მიერ გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის **ვერიკო კვირკველიას** თქმით უმჯობესი იქნება ჩაატარონ ღია სხდომა და განიხილონ ქალაქის ცენტრში არსებული სკვერის კეთილმოწყობის საკითხი. ამ მოსაზრებას დაეთანხმდნენ ბიუროს წევრები.

სხდომის თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ნება დართო საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილეს **ციცინო ჩხაიძეს** სიტყვით გამოსულიყო.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილემ **ციცინო ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ის მიესალმება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, მაგრამ უკმაყოფილოა ქალაქის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი საპირფარეშოს არ არსებობის გამო.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ქალაქში ჯერ ცენტრალური კანალიზაციის პრობლემაა მოსგვარებელი. მისი თქმით, პირველ რიგში მოსაწესრიგებელია პირველი საშუალო სკოლის მიმდებარედ არსებული სანიაღვრე არხი, სადაც რამდენიმე მოსახლეს დაერთებული აქვთ კანალიზაციის მილები. ზემოაღნიშნულ სანიაღვრე არხს არ აქვს საკმარისი დახრილობა და მასში გამდინარე ფეკალური მასები გუბდება, რის გამოც ირგვლივ დგას აუტანელი სუნი.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ოთხმა ოჯახმა მომართა მერიას თხოვნით დახმარებოდნენ კანალიზაციის პრობლემის მოგვარებაში, მერიის შესაბამისი სამსახური დაუკავშირდა წყალკანალს და საბოლოოდ გაირკვა, რომ საჭიროა პირველი სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე გაკეთდეს ოთხი ჭა, სადაც დაერთდება ამ ოთხი მოსახლიდან გამომავალი კანალიზაციის მილები და თითოეულ ოჯახს ოფიციალურად მოუწევს ათასი ლარის გადახდა, რაზედაც მოსახლეობამ უარი განაცხადა თანხის არ ქონის გამო, ხოლო მუნიციპალიტეტის მერია ვერ გადაიხდის ამ თანხებს. ამ მიზეზით ეს პროექტი ჯერ-ჯერობით გაჩერებულია.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო